ძალადაკარგულია (2010 წლის 1 სექტემბრიდან)
საქართველოს
07/21/2010 N 3530
კანონით

# საქართველოს კანონი

# განათლების შესახებ

სახელმწიფო აცხადებს განათლების სფეროს პრიორიტეტულობას და ამის საფუძველზე წარმართავს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას. საგანმანათლებლო საქმიანობას სახელმწიფო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად. ეს კანონი მოიცავს მხოლოდ საერო განათლების სფეროს.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 2. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 3. მოქალაქეთა უფლებების სახელმწიფო გარანტიები განათლების სფეროში

1. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
2. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
3. ნორმალური განვითარებისაგან გადახრილ პირებს სახელმწიფო უქმნის მათი განვითარების კორექციისა და სოციალური ადაპტაციის პირობებს.
4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
5. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
6. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
7. სახელმწიფო უზრუნველყოფს სკოლამდელ აღზრდას მის დაფინანსებასა და მატერიალური ბაზის შექმნაში მონაწილეობით, პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის აუცილებელი პირობების შექმნით.
8. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
9. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
10. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
11. ამოღებულია (17.03.2006. N2797)
12. სახელმწიფო ასრულებს თავის კონსტიტუციურ ვალდებულებას, მოქალაქეს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში უფასოდ მისცეს საშუალო და პროფესიული (მათ

შორის უმაღლესი და უმაღლესისშემდგომი) განათლება საბიუჯეტო დაფინანსებით უზრუნველყოფილი სახელმწიფო დაკვეთის მეშვეობით. სახელმწიფო დაკვეთა შეიძლება განთავსდეს მხოლოდ სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
13. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
14. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
15. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 5. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

## თავი II

## სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი და ცენზი, აკადემიური ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამა, საგანმანათლებლო დაწესებულება

### მუხლი 6. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები
1. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი ამ კანონით განსაზღვრული საფეხურებისა და სწავლების ხანგრძლივობის საფუძველზე ადგენს სასწავლო დისციპლინათა ნუსხას, განსაზღვრავს სასწავლო საგნების ციკლთა შორის თანაფარდობას, სასწავლო დატვირთვის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი დონის კრიტერიუმებს საფეხურების მიხედვით და, მოსწავლეთა მიდრეკილების გათვალისწინებით, სწავლების დიფერენცირების ზღვრულ ნორმებს, აგრეთვე სასწავლო-მატერიალური ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატიულ მოთხოვნებს.
2. სტანდარტების შესრულება სავალდებულოა ლიცენზიის მქონე ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.
3. ნორმალური განვითარებისაგან გადახრილ მოსწავლეთათვის დგინდება სპეციალური საგანმანათლებლო სტანდარტები.

### მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამები
1. საქართველოში ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი და პროფესიული განათლების პროგრამები.
2. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
3. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
5. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
6. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
7. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

8. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
9. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
10. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
11. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
12. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 8. სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზი, სახელმწიფო საგანმანათლებლო სერტიფიკატი, აკადემიური ხარისხი
1. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
2. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
3. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
5. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
6. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
7. ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ საგანმანათლებლო სერტიფიკატს აქვს საქართველოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სერტიფიკატის იურიდიული ძალა.

მუხლი 9. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 10. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი
1. სკოლამდელი აღზრდის მიზანია მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს მისი აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საკუთრების პატივისცემას, ხელი შეუწყოს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას.
2. სკოლამდელი აღზრდა ხდება ოჯახში ან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში.

მუხლი 11. ზოგადი განათლება
1. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
2. დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება, შესაბამისად, ზოგადი განათლების - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი სახის სასწავლო დაწესებულებებში(დაწყებითი, საბაზო, საშუალო სკოლები, ლიცეუმი, გიმნაზია).
3. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
5. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
6. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
7. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
8. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

9. საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებიც ასრულებენ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების დროს, აგრეთვე არდადეგების დროსა და ხანგრძლივობას განსაზღვრავს საქართველოს განათლების სამინისტრო.

მუხლი 12. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 13. ამოღებულია (17.03.2006. N2797)

მუხლი 14. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 15. სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები

1. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულება შეიძლება არსებობდეს საჯარო სამართლის (სახელმწიფო) ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.

1[1]. კერძო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი წესით, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე. (17.03.2006. N2797)

2. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

3. სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახეები განისაზღვრება სახელმწიფო სტანდარტით.

4. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულება არის იურიდიული პირი,რომელიც ავტონომიურია ამ კანონითა და საკუთარი წესდებით განსაზღვრულ ფარგლებში.

5. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულება:

ა) დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული საგანმანათლებლო პროგრამების,ზოგადი მეთოდიკის, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შესაბამისად;

ბ) უფლებამოსილია მიიღოს და ამ კანონისა და თავისი წესდების შესაბამისად განკარგოს არასაბიუჯეტო ფინანსური და მატერიალური რესურსები. დაწესებულების საქმიანობით მიღებული მოგება ხმარდება მხოლოდ მისი წესდებით განსაზღვრულ ამოცანებს;

თავისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად თანამშრომლობს სხვა, მათ შორის, უცხო ქვეყნების, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

6. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

7. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

## თავი III

## განათლების სისტემის მართვა

მუხლი 16. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 17. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 18. საქართველოს განათლების სამინისტროს უფლებამოსილება განათლების სფეროში
1. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
2. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
3. საქართველოს განათლების სამინისტრო ამტკიცებს შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან ერთად შემუშავებულ შემდეგ საკითხებს:
საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო დაკვეთის განთავსების პროექტი;
ა) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ბ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
გ) სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულების სახელმწიფო სტანდარტების პროექტები;
დ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ე) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ვ) ამოღებულია (28 05.99)
ზ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
თ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ი) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
კ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ლ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მ) უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი-სთვის სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზის მინიჭების წესი და პირობები;
ნ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
4. საქართველოს განათლების სამინისტრო:
ა) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ბ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
გ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
დ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ე) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ვ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ზ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
თ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ი) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
კ) ამოღებულია (17.03.2006. N2797)
ლ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მ) წყვეტს სახელმწიფო სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიკვიდაციის საკითხს;
ნ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ო) ქმნის სასკოლო ოლქებს, განსაზღვრავს სასკოლო ოლქის სამმართველოს სტრუქტურას და ადგენს მის დებულებას; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასკოლო ოლქის ხელმძღვანელს;
პ) შეიმუშავებს და ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, ასევე, სასკოლო ოლქის დაქვემდებარებაში არსებული განათლების მართვის ორგანოს - განათლების განყოფილების ტიპურ დებულებას;
ჟ) სასკოლო ოლქის სამმართველოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს განათლების განყოფილების ხელმძღვანელს;
რ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
ს) სასკოლო ოლქის სამმართველოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით;
ტ) ამოღებულია (28.03.2007. N4531)
5. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 19. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 20. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 21. სასკოლო ოლქი, სასკოლო ოლქის
სამმართველოს უფლებამოსილება
1. სასკოლო ოლქი არის განათლების სისტემის მართვის საშუალედო რგოლი და მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) რამდენიმე ერთეულის შესაბამის ტერიტორიას. ოლქში შემავალ ადგილობრივ თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებთან სასკოლო ოლქის სამმართველო ქმნის განათლების მართვის ქვემდგომ ორგანოს - განათლების განყოფილებებს, რომელთა სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვრება განათლების სამინისტროს ტიპური დებულებით.
2. სასკოლო ოლქს ხელმძღვანელობს სასკოლო ოლქის სამმართველო, რომლის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და სამმართველოს დებულებით. სასკოლო ოლქის სამმართველო ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან.
3. სასკოლო ოლქის სამმართველო:
ა) სასკოლო ოლქის ფარგლებში ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და აკონტროლებს მათ შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
ბ) განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრების შესაბამისობას;
აწესებულების

ლიცენზირებას, რომლებიც ასრულებენ საგანმანათლებლო პროგრამებს (ამ კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პროგრამების გარდა);
დ) მას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ატარებს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ატესტაციასა და აკრედიტაციას, რომლებიც ასრულებენ დაწყებით და/ან საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო და სახელობო მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს;
ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით საქართველოს განათლების სამინისტროს დასანიშნად წარუდგენს განათლების განყოფილების ხელმძღვანელის კანდიდატურას;
ვ) საქართველოს განათლების სამინისტროს დასანიშნად წარუდგენს სახელმწიფო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის კანდიდატურას;
ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის განათლების განყოფილების წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო საბაზო საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.

მუხლი 22. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილება განათლების სფეროში

1. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
2. ადგილობრივი თვითმმართველობის განათლების განყოფილება:
ა) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროს დასანიშნად წარუდგენს სახელმწიფო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ხოლო სასკოლო ოლქს - სახელმწიფო საბაზო საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის კანდიდატურას;
ბ) ნიშნავს სახელმწიფო სკოლამდელი და დაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს.
3. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო მის გამგებლობას დაქვემდებარებული ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებს უქმნის სასწავლო პროცესის განხორციელების, სკოლისგარეშე აღზრდისა და დასვენების აუცილებელ პირობებს; ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობს საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში.
4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 23. საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა

1. საგანმანათლებლო დაწესებულებას მართავენ დაწესებულების ადმინისტრაცია და პედაგოგიური (სამეცნიერო) საბჭო, რომელთა სტრუქტურა, შექმნის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ტიპური დებულებითა და საკუთარი წესდებით.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემოსავლის მოზიდვის და რაციონალური განკარგვის მიზნით იქმნება სამეურვეო საბჭო, რომლის ფუნქციები და საქმიანობის წესი განისაზღვრება თვით ამ დაწესებულების წესდებით.

3. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
5. დირექტორის (რექტორის) დანიშვნის (არჩევის) ვადა არ უნდა აღემატებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას,მაგრამ არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები.
6. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
7. საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური (სამეცნიერო) საბჭო:
ა) არის არჩევითი ორგანო, რომლის შექმნის წესი განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით;
ბ) წარმართავს საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო-აღმზრდელობით და სამეცნიერო საქმიანობას;
გ) შეაქვს ცვლილებები საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში.
8. საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია პედაგოგიურ (სამეცნიერო) საბჭოსთან შეთანხმებით:
ა) ადგენს ხარჯთაღრიცხვის პროექტს;
ბ) ადგენს სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის პირობებსა და წესს მოსწავლეთათვის (სტუდენტთათვის) საბიუჯეტო დაფინანსებიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ტიპური დებულების საფუძველზე.
9. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
10. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

## თავი IV
## სამართლებრივი ურთიერთობები განათლების სისტემაში

### მუხლი 24. საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება
1. საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება დაფუძნდეს როგორც საჯარო სამართლის, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.
2. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც არ არის შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.
3. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
5. სახელმწიფო საგანამანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის გარდა) დაფუძნების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, სასკოლო ოლქის სამმართველო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. შესაბამის ბიუჯეტში ასახული დაფინანსებით სახელმწიფო საგანამანათლებლო დაწესებულების დაფუძნების უზრუნველყოფის შემთხვევაში მას კანონით დადგენილი წესით აფუძნებს ზემოაღნიშნული ორგანო.

6. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
7. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
8. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 25. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 26. ამოღებულია (28.05.99.)
მუხლი 27. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 28. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 29. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 30. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 31. საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი
1. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
2. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
3. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
5. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
6. სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა პედაგოგები სარგებლობენ თანაბარი პროფესიული უფლებებით და შრომის ანაზღაურების ერთიანი სკალით.
7. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 32. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

## თავი V
## ეკონომიკური ურთიერთობანი განათლების სისტემაში

მუხლი 33. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 34. სახელმწიფო ფინანსური ნორმატივები განათლების სფეროში
1. განათლების სფეროში სახელმწიფო ფინანსური ნორმატივი არის სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის განხორციელებისათვის აუცილებელი თანხების ოდენობა, რომელიც განისაზღვრება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის, სტანდარტის, პროგრამის ყოველი სასწავლო წლისა და ერთი მოსწავლისა და სტუდენტისათვის.
2. განათლების სფეროში სახელმწიფო ფინანსურ ნორმატივებს შეიმუშავებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო საქართველოს განათლების, ფინანსთა და სხვა შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან ერთად და ამტკიცებს მათთან შეთანხმებით.

3. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც ადგილობრივი პირობების გამო სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების შესრულების ღირებულება აღემატება სახელმწიფო ფინანსურ ნორმატივებს, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ეძლევა დამატებითი დაფინანსება.

მუხლი 35. სახელმწიფო დაკვეთა
1. სახელმწიფო დაკვეთა არის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სასწავლო საბიუჯეტო ჯგუფებისა და ადგილების რაოდენობა.
2. საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მისაღები თანხების ოდენობა გაიანგარიშება სახელმწიფო დაკვეთითა და შესაბამისი სახელმწიფო ფინანსური ნორმატივების საფუძველზე.

მუხლი 36. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 37. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 38. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 39. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

## თავი VI
## სოციალური გარანტიები და უფლება-მოვალეობანი განათლების სფეროში

მუხლი 40. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 41. იმ ბავშვთა და მოზარდთა სოციალური დაცვა, რომლებსაც აღზრდისა და განათლების განსაკუთრებული პირობები სჭირდებათ
1. იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც ამ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ ვადაში ვერ დაძლიეს დაწყებითი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ნორმალური განვითარებისაგან გადახრილი, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე მოსწავლეთათვის, აგრეთვე იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებათ,განათლების სისტემის მართვის ორგანოები ქმნიან სპეციალურ და კორექციული ხასიათის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც ხორციელდება ასეთი ბავშვების მკურნალობა, აღზრდა, სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. სპეციალურ სკოლებში მოსწავლეები ჩაირიცხებიან მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) თანხმობისა და სპეციალური სამედიცინო-პედაგოგიური კომისიის დასკვნის საფუძველზე. თანხმობის არარსებობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო. ამგვარ საგანმანათლებლო დაწესებულებებს სახელმწიფო აფინანსებს მაღალი ნორმატივებით.

2. ბავშვობიდან ინვალიდებისათვის (დიაბეტით დაავადებულები და სხვა), რომლებიც არ შედიან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ კატეგორიაში, წესდება შეღავათი მათი სწავლისა და აღზრდისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპური დებულებით.
3. აკრძალულია საბაზო განათლების მიღებამდე სასწავლო დაწესებულებებიდან მოსწავლეთა გარიცხვა. იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ახასიათებთ საზოგადოებისათვის მიუღებელი, ნორმიდან გადახრილი ქცევა, იქმნება სპეციალური სააღმზრდელო-სასწავლო დაწესებულებები, სადაც სპეციალური პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა აღზრდა და სწავლება, სახელობო და/ან დაწყებითი პროფესიული მომზადება, შექმნილია თვითგანვითარების პირობები. ასეთ სააღმზრდელო-სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეები იგზავნებიან მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, 11 წლის ასაკიდან. *(20.06.2003 N 2433)*

მუხლი 42. აღსაზრდელთა და მოსწავლეთა (სტუდენტთა)
ჯანმრთელობის დაცვა
1. საგანმანათლებლო დაწესებულება აღსაზრდელებსა და მოსწავლეებს (სტუდენტებს) უქმნის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობებს. საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო-შრომითი დატვირთვა, შინაგანაწესი, კვების პირობები და სანიტარიული ნორმები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებსა და ნორმატივებს.
2. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულების სამედიცინო მომსახურებას.
3. იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც სჭირდებათ ხანგრძლივი მკურნალობა,სახელმწიფოს ხარჯზე იქმნება გამაჯანსაღებელი, მათ შორის, სანატორიუმის ტიპის, საგანმანათლებლო დაწესებულებები.
4. აღსაზრდელთა და მოსწავლეთა (სტუდენტთა) სწავლის, დასვენებისა და შრომის პირობები განსაზღვრულია კანონმდებლობით და პასუხისმგებლობა მათი დაცვისათვის ეკისრება საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას.

მუხლი 43. საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკთა
უფლება-მოვალეობანი და სოციალური დაცვა
1. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
2. განათლების სფეროში სახელმწიფო ფინანსურ ნორმატივებს შეიმუშავებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს განათლების, ეკონომიკისა და შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან ერთად და ამტკიცებს მათთან შეთანხმებით. (12.06. 98)
3. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
4. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

მუხლი 44. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

## თავი VII
## საერთაშორისო თანამშრომლობა
## განათლების სფეროში

მუხლი 45. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

## თავი VIII
## პასუხისმგებლობა "განათლების შესახებ"
## საქართველოს კანონის დარღვევისათვის

მუხლი 46. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

## თავი IX
## გარდამავალი დებულებები

მუხლი 47. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 48. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 49. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 50. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 51. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 52. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 53. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 54. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 55. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 56. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 57. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 58. ამოღებულია (28.05.99)
მუხლი 59. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

## თავი X
## დასკვნითი დებულებები

მუხლი 60. ამოღებულია (28.03.2007. N4531)
მუხლი 61. ამოღებულია (28.03.2007. N4531)

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე.*

თბილისი,
1997 წლის 27 ივნისი.

N 826 - II ს